საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო

ფაქტების კონსტატაცია

დააფიქსირე ფაქტი და მოიპოვე მტკიცებულება!

ფაქტების კონსტატაცია - აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი სერვისი

ფაქტების კონსტატაცია გაძლევთ უნიკალურ საშუალებას დააფიქსიროთ თქვენთვის მნიშვნელოვანი მატერიალური გარემოება. ფაქტის აღწერის შესახებ ჩვენს მიერ შედგენილი ოქმი შესაძლოა გამოიყენოთ სასამართლოში მტკიცებულების სახით.

რა შედეგს გვაძლევს ფაქტების კონსტატაცია?

- ✔ სასამართლო პროცესების ხანგრძლივობის შემცირება მტკიცების სტადიის ხარჯზე;
- ✔ სასამართლო დავებისათვის თავის არიდება – ბრალეული პირის მიერ ზიანის ანაზღაურება ფაქტის შესახებ უტყუარი მტკიცებულების შესაბამისად;
- ✔ უფლებათა წინასწარგანზრახული დარღვევის პრევენცია.



www.nbe.gov.ge

რა შემთხვევაში შეგიძლიათ ისარგებლოთ ფაქტების კონსტატაციის სერვისით?

✔ ქონების გაქირავებამდე ფაქტების კონსტატაციის სერვისით სარგებლობა- წარმოადგენს- მტკიცე უზრუნველყოფის საშუალებას თქვენი საკუთრების დაზიანების შემთხვევაში კომპენსაციის მისაღებად.

✔ სამეზობლო დავებისას მტკიცებულების მოპოვებისთვის, მაგ.: წყლის ჩამოშვება, საერთო სარგებლობის კიბით, გზით, სხვენით სარგებლობაში ხელის შეშლა, ხმაური და სხვა.

✔ თუ თქვენი შეკვეთის მიხედვით მიღებული საქონელი ხარისხით, დიზაინით ან თვისობრივი ნიშნით არ აკმაყოფილებს კონტრაქტით განსაზღვრულ პირობებს აღმოჩენილი ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორების მოთხოვნისთვის დაგჭირდებათ მტკიცებულება.

✔ თუ თქვენ ხართ კომპოზიტორი და თქვენს ნაწარმოებებს თქვენი ნებართვის გარეშე ასრულებენ, საფასურს კი არ გიხდიან, დააფიქსირეთ თქვენი ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა და მოითხოვეთ შესაბამისი ანაზღაურება.

✔ ავტო-საგზაო შემთხვევის ან სტიქიური უბედურებისას გექნებათ უტყუარი მტკიცებულება ზიანის შესახებ.

ცხელი ხაზი: +(995 32) 2 749 649
+(995 32) 2 405 405

www.nbe.gov.ge